ქ. თბილისის მერს ბატონ დავით ნარმანიას.

ასლი

ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ ზურაბ წიკლაურს.

მერიის ზედამხედველობის სამსახურს.

მერიის აუდიტის სამსახურს .

ჩაილურის ქ. № 6-ში მცხოვრები მოქალაქეების

ოთარ ასანიძის და მაია ასანიძის

საკონტაქტო ნომერი: 599503638

განცხადება

მოგახსენებთ, რომ ჩაილურის ქ.№4 და ს. ჩიქოვანის ქ.№25-ში, ჩვენს მომიჯნავე ნაკვეთზე კოდით (01.10.17.045.022) მეზობლების ინტერესების გაუთვალისწინებლად, დაუსაბუთებლად და კანონდარღვევით გაზრდილი კოეფიციენტით 4.0 სამშენებლო კომპანიამ „დეველოპმენტ გრუპ“ -ი (ს.კ 406155618) ააშენა 9 სართულიანი 33.5 მეტრი სიმაღლის საცხოვრებელი კორპუსი.

კომპანიას გამოყენებული აქვს შპს „მონოლითის“ მიერ გაცემული საინჟინრო ტექნიკური დასკვნა, სადაც წერია, რომ„კორპუსის მშენებლობა არ მოახდენს უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას ირგვლივ მდებარე შენობანაგებობებზე“, რაც არასწორი და ყალბია. ჩვენს სახლზე მშენებლობის ზემოქმედების დასადგენად განსაკუთრებული კვლევის ჩატარება არც იყო საჭირო, ერთი შეხედვითაც აშკარაა, თუ რამდენად უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა ეს მშებლობა სახლის მდგრადობაზე.

ჩაილურის ქ. №6-ში მდებარე სახლი არის ორ სართულიანი, სადაც ორი ოჯახი ვცხოვრობთ. ის აგებულია 60 წლის წინ, იმ დროისათვის ტიპიური სტანდარტებით. პირველი სართული წარმოადგენს დაბალი ხარისხის ბეტონის კედლებს არმატურის გარეშე, მეორე სართული აგურით და თიხით არის აგებული, სართულებს შორის არ არსებობს რკინა-ბეტონის სარტყელი და სახლს ფაქტიურად არ აქვს საძირკველი. ამის შესახებ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები ჩვენს მიერ იყვნენ სიტყვიერად გაფრთხილებული. მიუხედავად ამისა, თითქმის 18 თვის განმავლობაში და დღემდე, ჩვენი სახლის კედლები და საძირკველი მუდმივად განიცდიან მძიმეწონიანი სატვირთო, ბეტონშემრევი და ბეტონის ჩამსხმელი მანქანების მოძრაობით და მათი მუშაობის ვიბრაციით გამოწვეულ რყევას. ამგვარმა ზემოქმედებამ გავლენა იქონია, სახლის მდგრადობაზე, კედლები დაბზარა, აგურების წყობა მოირყა და შეიქმნა კედლების ნგრევის საშიშროება. გარდა მატერიალური ზარალისა (რაც ანაზღაურებული უნდა იქნეს კომპანიის მიერ ), ნგრევას შესაძლოა მსხვერპლიც მოყვეს.

გარდა ამისა, მშენებლობის პროცესში კომპანია არ იყენებს სამშენებლო ნორმატივებით გათვალისწინებულ დამცავ ბარიერებს და ბადეებს, რის გამოც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვართ დაუცველი, როგორც სხვადასხვა საგნების ცვენის,ასევე სამშენებლო მტვრისაგან. აღარაფერს ვამბობთ ხმაურსა და მძიმეწონიანი მანქანების მომწამლავ გამონაბოლქვზე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ა.წ. 10 მარტს სამშენებლო კომპანიამ „დეველოპმენტ გრუპ“ არქიტექტურის სამსახურს მიმართა განაცხადით AR-1484296 რითაც ითხოვს მეორე 9 სართულიანი კორპუსის ე.წ. „ბ“ ბლოკის მშენებლობის ნებართვას ჩიქოვანის ქ. №27-ში, რომელიც, ასევე ესაზღვრება ჩვენს სახლს. ახალი მშენებლობა მოითხოვს სამშენებლო ტექნიკის კიდევ უფრო ღრმად შემოსვლას , რაც კიდევ უფრო გაზრდის შენობაზე მავნე ზემოქმედებას და მშენებლობისთვის დამახასიათებელი სხვა თანმდევი პრობლემებით, კიდევ უფრო გაუსაძლისს გახდის, ჩვენს ისედაც გართულებულ საცხოვრებელ პირობებს. სრულიად დაარღვევს ინსოლაციისა და აერაციის , ისედაც უკვე დარღვეულ ელემენტარულ ნორმებს. შეგვეზღუდა

სატელეკომუნიკაციო სივრცეც, გაითიშა სატელიტური თეფში და ვეღარ ვიღებთ სატელევიზიო პროგრამებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ახალი ე.წ. „ბ“ ბლოკის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული და განაცხადი პასუხის რეჟიმშია, გთხოვთ ჩაგვრთოთ მხარედ ადმინისტრაციულ წარმოებაში, ამასთან ადგილზე შეისწავლოთ არსებული ვითარება და არ გასცეთ მეორე 9 სართულიანი კორპუსის მშენებლობის ნებართვა.

.

მაია ასანიძე

პ.ნ 01024070139

ოთარ ასანიძე

პ.ნ 01026009154

06.04.2017